სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

შპს „აისბერგი-2“-ს გადაეცა თევზის გადამამუშავებელი საწარმო ფოთში

მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ფოთში გადაეცა პირდაპირი მიყიდვის წესით შპს „აისბერგი-2“-ს. 20012 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ნაგებობებით, რომელიც მდებარეობს ვიქტორ კრატასიუკის ქ-ზე, კომპანიამ მიიღო 500 000 ლარად. 1 წლის განმავლობაში პრივატიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერიდან კომპანია მინიმუმ 463 000 ლარის ინვესტიციას გააკეთებს თევზის გადამამუშავებელ საწარმოში, რომელიც მდებარეობს ამ ტერიტორიაზე. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, შპს „აისბერგი-2“-მა მიიღო 800 000 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში და 1,5 მილიონი აშშ დოლარი პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში. შპს „აისბერგი-2“ რეგისტრირებული იყო ფოთში 2005 წელს. მეთევზეობის თურქული კომპანია Koptur BALIKCILIK Gida Sanayi Nakliyat არის კომპანიის 30%-ის მფლობელი, 30% ეკუთვნის თენგიზ სარიშვილს, ხოლო კახაბერ ლატარია და ირაკლი ხახუბია ფლობენ 20%-ს თითოეული. კომპანია ახორციელებს ქაფშიის ჭერას და გადამუშავებას, ყიდის ნაწარმს (თევზის ფქვილი და ქონი) ადგილობრივ ბაზარზე და ნაწილი გააქვს ექსპორტზე.

Sarke Information Agency, 23 ივლისი 2015

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს ჭარბი ნალექით მიყენებული ზიანი აუნაზღაურდებათ

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განაცხადა, რომ ჭარბი ნალექით მიყენებული ზიანი აუნაზღაურდებათ აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს. კერძოდ, სეტყვის შედეგად ზარალი მიადგა 3000 ბენეფიციარს. სამინისტროს ცნობით ზარალის ანაზღაურებას, პირველადი შეფასებით, 4,5 მილიონი ლარი სჭირდება. სამინისტროს განცხადებით, 22 817 პოლისი გაიცა ქვეყნის შიგნით აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ხოლო სახელმწიფო სუბსიდიამ 12 297 მლნ ლარი შეადგინა. დაზღვეული კულტურების საერთო ღირებულება შეადგენს 164 087 მლნ ლარს, დაზღვეულია 20 281 ჰა ფართობი.

Sarke Information Agency, ივლისი 2015

შპს „საქართველოს ბიზნეს ზონა“ იჯარით აიღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მეცხოველეობის ფერმისთვის

მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ახალციხის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთი) გადაეცემა იჯარით შპს „საქართველოს ბიზნეს ზონას“. კომპანია მიიღებს ორ 87 ჰა და 150 ჰა მიწის ნაკვეთს (საძოვრები) 25 წლის ვადით (ძირითადი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ) წლიური 5 500 ლარიანი ქირის გადასახადის შემთხვევაში. კომპანია ვალდებულებას იღებს, ააშენოს ფერმა და მოაშენოს 150 სული საქონელი 2 წლის განმავლობაში. ინვესტიცია უნდა იყოს 250 000 ლარი მინიმუმ. ამავე მუნიციპალიტეტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 52,7 ჰა მიწის ნაკვეთები მარტში გადაეცა 25-წლიანი იჯარით შპს „საქართველოს ბიზნეს ზონას“. კომპანიამ, რომელიც დაარსდა 2008 წელს, აიღო ერთწლიანი კულტურების გაშენების ვალდებულება და მათ მიერ ჩადებულმა ინვესტიციებმა ამ დროისთვის შეადგინა 145 000 ლარი.

Sarke Information Agency, 20 ივლისი 2015

ENPARD და MERCY CORP იწყებენ კოოპერატივების განვითარების პროგრამას

სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) და მისი პარტნიორი ორგანიზაცია Mercy Corp იწყებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბიზნესის განვითარების პროგრამას საქართველოში. პროგრამა ითვალისწინებს ტრენინგებს, ცნობიერების ამაღლებას და ინვესტიციების მხარდაჭერას. პროექტის საინვესტიციო ფონდი შეადგენს 15000 ევროს,

რომელიც გადანაწილდება შერჩეულ კოოპერატივებზე. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 1 სექტემბერი. პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს შესაბამისი სტატუსის (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი) მქონე კოოპერატივებს, რომლებსაც შეუძლიათ დააფინანსონ პროექტის ღირებულების მინიმუმ 15% ფულადი და/ან არაფულადი ფორმით. გარდა ამისა, პროგრამა ვრცელდება იმ კოოპერატივებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან პროგრამის სამიზნე შემდეგ მუნიციპალიტეტებში: საჩხერე, ჭიათურა, ვანი, სამტრედია (ყველა - იმერეთის რეგიონი), ქარელი, ხაშური, კასპი, გორი (ყველა - შიდა ქართლი), საგარეჯო, გურჯაანი, ყვარელი, მარნეული, გარდაბანი (კახეთის რეგიონი), თეთრიწყარო, ახალქალაქი და ნინოწმინდა (სამცხე-ჯავახეთი).
Sarke Information News, 16 ივლისი, 2015

უალკოჰოლო სასმელების მარკირების დაწყება გადაიდო
მთავრობის პრეს-სამსახურის ცნობით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადაწყვეტილება მიიღო გამაგრილებელი სასმელის მარკირების გადადების შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მწარმოებლების მიმართვის საფუძველზე. პროექტით, რომელიც მომზადდა ფინანსთა სამინისტროს მიერ, გათვალისწინებულია ცქრიალა, მინერალური და მტკნარი წყლის სავალდებულო მარკირება ამ წლის 1 სექტემბრიდან. პრეს-სამსახურის ცნობით, იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხულის სეზონია და მარკირების აღჭურვილობის მონტაჟი რთული პროცესია, პრემიერმა ფინანსთა მინისტრს დაავალა სავალდებულო მარკირების დაწყების გადადება 1 ნოემბრისთვის.
Sarke Information News, 16 ივლისი, 2015

სურსათის ბაზრის წესები გამკაცრდება
ივლისიდან გენ-მოდიფიცირებული (GM) პროდუქცია შეიზღუდება საქართველოში, ხოლო აგვისტოში იმ რძის პროდუქტების ჯერი დადგება, რომლებიც დამზადებული არ არის ბუნებრივი ნედლეულისგან, წერს გაზეთი. შემოსავლების სამსახური ირწმუნება, რომ აკონტროლებს ყველა სახის იმპორტირებულ პროდუქციას საბაჟოზე და ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი გენმოდიფიცირებული პროდუქცია (არამარკირებული). თავის მხრივ, რძის პროდუქტების მწარმოებლებს და დისტრიბუტორებს არ ექნებათ უფლება ამ წლის 1 აგვისტოდან ტრადიციული სახელებით (ხაჭო, მაწონი, არაჟანი, კეფირი, იოგურტი) გაყიდონ პროდუქცია, რომელიც შეიცავს არა-ცხოველურ ცხიმებს და/ან სხვა დანამატებს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, რეგულირების სხვა ძირითადი წესები ეტაპობრივად დაინერგება 5 წლის განმავლობაში. ამავე დროს, ტერმინის „მსგავსი" გამოყენება მცენარეული ცხიმის გამოყენების შემთხვევაში დაშვებული იქნება 1 წლის განმავლობაში (2016 წლის 1 აგვისტომდე), აცხადებს სააგენტო.
Sarke Information Agency, 15 ივლისი, 2015

ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრი პეკინში გაიხსნა
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, პეკინში გაიხსნა ქართული ღვინის პოპულარიზაციის ცენტრი. ცენტრი, რომელიც ჩინეთში სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში ამოქმედდა, განთავსებულია ჩინეთის სურსათისა და ფერმენტაციის ეროვნული კვლევითი ინსტიტუტის შენობაში. სამინისტროს განცხადებით, ჩინეთს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ქართული ღვინის ექსპორტისთვის. სამინისტროს ცნობით საქართველოს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 759 969 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო გაიტანა ჩინეთში 6 თვის განმავლობაში, რაც 23%-ით აღემატება 2014 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს და საქართველოს მთლიანი ღვინის ექსპორტის 5,5%-ია.
Sarke Information Agency, 15 ივლისი, 2015

ISET-ის ბლოგი: საქართველოს სასურსათო ბაზარი უფრო კონკურენტუნარიანი გახდა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პოლიტიკის ინსტიტუტის (ISET) ბლოგზე გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ საკვების ფასების არასაკმარისი, ლარის დევალვაციის თითქმის 30%-ის ადეკვატური ზრდა მიუთითებს ქართული ბაზრის მზარდ კონკურენტუნარიანობაზე. ყოველ შემთხვევაში, ეს ეხება აუცილებელ კვების პროდუქტებს, აღნიშნულია ანგარიშში. „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის საშუალო კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია (34%) და მაინც მომწოდებლებმა

და საცალო მოვაჭრეებმა აქამდე ვერ გაზარდეს ფასები სუსტი მოთხოვნის და სასტიკი კონკურენციის პირობებში", წერენ ანგარიშის ავტორები. ისინი აცხადებენ, რომ საშუალო ქართული ოჯახი ხარჯავს საკუთარი ბიუჯეტის 40%-ს საკვებზე და საქართველოს მომხმარებელი ძალიან მგრძნობიარეა საკვების ფასებისადმი.
Sarke Information Agency, 14 ივლისი, 2015

ჩაის იმპორტი საქართველოში 3,24-ჯერ აღემატებოდა ექსპორტს 2014 წელს
საქართველოს შავი ჩაის ექსპორტმა შეადგინა 1 377 მილიონი აშშ დოლარი, მწვანე ჩაის - 952 000 აშშ დოლარი, ხოლო ჩაის კონცენტრატების - 315 000 აშშ დოლარი. თავის მხრივ, შავი ჩაის იმპორტმა ქვეყანაში შეადგინა 8 008 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო მწვანე ჩაის - 565 000 აშშ დოლარი. შესაბამისად, იმპორტმა გადააჭარბა ექსპორტს 3,24-ჯერ. ეს ციფრები (საქსტატის მონაცემების მიხედვით) წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის პოლიტიკის ინსტიტუტმა (ISET). ინსტიტუტის ცნობით, ჩაის ფოთლის წარმოება საქართველოში შემცირდა 2006-2014 წლებში 6 600-დან 1 800 ტონამდე. ISET იუწყება, რომ „ათასობით პოტენციურ საოჯახო მწარმოებელს და 27 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შორის მხოლოდ რამდენიმე მცირე და საშუალო მასშტაბის და ოთხი ფართომასშტაბიანი გადამამუშავებელი" არის ჩართული ადგილობრივ ჩაის წარმოებაში. აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილი იყო ჩაის სექტორის ფორუმზე, რომელიც გაიმართა 1 ივლისს ქუთაისში. როგორც ISET-ში აღნიშნეს, „ეს იყო პირველი ღონისძიება დიალოგების სერიიდან სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ საქართველოში, ორგანიზებული ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემდეგ ორგანიზაციებთან პარტნიორობით: „ქეა საერთაშორისო კავკასიაში“, „რეგიონული განვითარების ასოციაცია“ და „საქართველოს ფერმერთა ასოციაცია“.
Sarke Information Agency, 14 ივლისი, 2015

დაფნის ექსპორტი 30%-ით გაიზარდა 2014 წელს
საქსტატის მონაცემებით, დაფნის ექსპორტმა 2014 წელს შეადგინა 6 612 მილიონი აშშ დოლარი. ეს მოცულობა 2013 წლის მონაცემთან შედარებით 30%-ით ზრდას ნიშნავს. ეს ციფრები (საქსტატის მონაცემების მიხედვით) წარმოადგინა აჭარაში დაფუძნებულმა საერთაშორისო ინვესტორების ქართულმა ასოციაციამ, რომელიც აღნიშნავს, რომ ექსპორტის ზრდა გამოწვეულია ძირითადად რუსეთის ბაზარის გახსნით. კერძოდ, თუ დაფნის ექსპორტმა რუსეთში 2013 წელს შეადგინა 180 000 აშშ დოლარი (111 ტ), 2014 წელს იყო 2,56 მილიონი აშშ დოლარი (1 523 ტ), რაც ფულად გამოხატულებაში 14-ჯერ ზრდას ნიშნავს. საანგარიშო წელს ექსპორტმა თურქეთში შეადგინა 1,5 მილიონი აშშ დოლარი (948 ტ), რაც 16,7% წლიურ კლებას ნიშნავს, ხოლო უკრაინაში - 1,265 მილიონი აშშ დოლარი (837 ტ), ზრდა - 25,9%.
Sarke Information Agency, 14 ივლისი, 2015

საქართველო და ჩინეთი გეგმავენ ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას სოფლის მეურნეობის სექტორში
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს შეხვედრის შესახებ ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, რომელიც გაიმართა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში ჩინეთში. როგორც სამინისტროში განაცხადეს, ჩინურმა მხარემ მზადყოფნა გამოთქვა, რომ განხორციელდეს ერთობლივი კვლევითი პროექტები. თანამშრომლობა ჩინეთის მხარესთან დაგეგმილია ისეთი მიმართულებით, როგორიცაა - მცენარეების გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერა, ტყის და ხეხილის ახალი სახეობების გაშენება, სანერგე მეურნეობების დაარსება და სხვ.
Sarke Information Agency, 14 ივლისი, 2015

მეღვინეობის ექსპერტი: იმედის მომცემია, რომ ღვინის ექსპორტის კლების ტენდენცია შესუსტდა
6 თვის მონაცემების საფუძველზე, ბლოგის „მარანი“ („ღვინის მარანი“) ავტორი მალხაზ ხარბედია ამბობს, რომ ღვინის ექსპორტის კლების ტენდენციის მკვეთრი შესუსტება იმედის მომცემია. იგი აღნიშნავს, რომ წელს ღვინის ექსპორტის კლებამ 87% შეადგინა იანვარში, 71% იყო თებერვალში, 67% - მარტში, 58% - აპრილში, 54% - მაისში და 49% - ივნისში. მართალია, ღვინისა და ალკოჰოლური

სასმელების ექსპორტი შემცირდა რუსეთსა და უკრაინაში, მაგრამ რამდენიმე სტრატეგიულ ბაზარი (ჩინეთი, ჰონკონგი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი) გააქტიურდა, აღნიშნავს ექსპერტი. რაც შეეხება ქართული ადგილწარმოშობის ღვინოებს, ბლოგის ავტორის მიუთითებს, რომ „ხვანჭკარას“ გაყიდვები შემცირდა, როგორც მოსალოდნელი იყო და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში კარგად ცნობილი „მუკუზანი“ აღმოჩნდა ნახევრად-ტკბილი ქინძმარაულის და პოპულარული იაფი წინანდალის გვერდით.
Sarke Information Agency, 13 ივლისი, 2015

ღვინის 6 თვის ექსპორტი განახევრდა წინა წელთან შედარებით
ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 39,425 მილიონი აშშ დოლარის 13 706 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) ღვინო გავიდა ექსპორტზე 33 ქვეყანაში 6 თვის განმავლობაში. შედარებისთვის, 87,27 მილიონი აშშ დოლარის 26,87 მილიონი ბოთლი ექსპორტზე გაგზავნა 34 ქვეყანაში 2014 წლის იმავე პერიოდში. შესაბამისად, ღვინის ექსპორტი შემცირდა ბუნებრივ გამოხატულებაში (ბოთლი) 49%-ით, ფულად გამოხატულებაში - 54,8%-ით. რუსეთის წილმა საქართველოს ღვინის ექსპორტში საანგარიშო პერიოდში შეადგინა 56%. 66% იყო ამავე პერიოდში 2014 წელს. საქართველოს ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით პირველ ხუთ ქვეყანაში შედის ასევე ყაზახეთი (20%), უკრაინა (11%), პოლონეთი (7%) და ჩინეთი (6%).
Sarke Information Agency, 13 ივლისი, 2015

6-თვიანი ექსპორტი შემცირდა 24%-ით წინა წელთან შედარებით
საქსტატის შეფასებით, სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) შეადგინა იანვარ-ივნისში 4,761 მლრდ დოლარი. 2014 წლის ამავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით, მოცულობა შემცირდა 13%-ით. ამავე დროს, ექსპორტმა შეადგინა 1,082 მლრდ დოლარი, რაც 24%-ით კლებას ნიშნავს წინა წელთან შედარებით, ხოლო იმპორტი იყო 3,68 მილიარდი აშშ დოლარი, რაც 9%-იანი კლებაა. შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის უარყოფითმა ბალანსმა ანალიზის პერიოდში 2,598 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55%-ს შეადგენს.
Sarke Information Agency, 13 ივლისი, 2015

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთში თაფლის წარმოება რეკორდულად დაბალია
სომხეთშის თაფლის წარმოებამ წელს რეკორდულად იკლო ერთი ათას ტონამდე, რაც ორჯერ ნაკლებია, ვიდრე 2013 წელს, განაცხადა მეფუტკრეთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ ტელმან ნაზარიანმა. პრეს-კონფერენციაზე სპუტნიკის საერთაშორისო პრეს-ცენტრში დღეს მან მეფუტკრეობის შემცირება სომხეთში უკანასკნელ წლებში დააბრალა პესტიციდების აქტიურ გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, რაც იწვევს ფუტკრის სხვადასხვა დაავადებებს. ნაზარიანმა ასევე განაცხადა, რომ მავნე ნივთიერებები იპოვეს სომხეთში წარმოებულ თაფლში, რის გამოც ევროკავშირში აკრძალეს გაყიდვა მთელ ტერიტორიაზე. მეფუტკრეთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა მეფუტკრეობის მიმართ ყურადღების და მხარდაჭერის სრულ არარსებობაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან. მისი თქმით, სომხეთს ჰყავს 200 000 ფუტკრის კოლონია და თითოეული აწარმოებს 7-დან 10 კგ-მდე თაფლს, ხოლო საბჭოთა კავშირის დროს თითოეული კოლონია იძლეოდა 30-40 კგ თაფლს. ნაზარიანმა განაცხადა, რომ ამ ნეგატიური შედეგების გასანეიტრალებლად სომხეთის მეფუტკრეებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ თაფლის პროდუქტების - როგორიცაა პროპოლისი, ფუტკრის შხამი, ფუტკრის რძე და ყვავილების მტვერი - ექსპორტზე. „სომხეთის თაფლის პროდუქტებზე დიდი მოთხოვნაა ციმბირში. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ და ჩვენ შეგვიძლია კლიენტებს საჭირო რაოდენობის პროდუქცია მივაწოდოთ", განაცხადა მან. მეფუტკრეთა ეროვნული კავშირი არჩეულ იქნა 2014 წლის ოქტომბერში მეფუტკრეების ევრაზიის კავშირის საბჭოში, რომელიც მოიცავს დაახლოებით 50 ორგანიზაციას. კავშირი თანამშრომლობს ასევე ტიმირიაზევის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან რუსეთში, რომელიც ამარაგებს სომეხ მეფუტკრეებს ფუტკრის მედიკამენტებით.
20 ივლისი / ARKA

სომხეთმა ნება დართო უკრაინის 26 საწარმოს შემოიტანონ მეცხოველეობის პროდუქტები
სომხეთმა უფლება მისცა უკრაინის 26 მეწარმეს, რათა მათ შემოიტანონ მეცხოველეობის პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს სომხური მხარის და საბაჟო კავშირის მოთხოვნებს, განაცხადა უკრაინის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრეს-სამსახურმა ხუთშაბათს. „სომხეთის ბაზრის გახსნა დადებითი სიგნალია უკრაინის რძის და ხორცის მწარმოებლებისთვის", უკრაინის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვლადისლავა რუტიცკაიას სიტყვების ციტირებას ახდენს interfax.com.ua. „ჩვენ მივდივართ არა მხოლოდ ევროკავშირის მიმართულებით, ჩვენ მეცხოველეობის პროდუქციის გაყიდვის დივერსიფიკაციას ვახდენთ. უკრაინა მოლაპარაკებებს აწარმოებს არა მარტო სომხეთთან, არამედ ყაზახეთთან საჯიშე პირუტყვის, ასევე რძის და სხვა პროდუქტების ექსპორტზე". სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, უკრაინულმა მხარემ სომხეთში გააგზავნა 65 კომპანიის სია, რომლებსაც სურთ საკუთარი პროდუქციის ექსპორტი, ხოლო მოლაპარაკებები 39 კომპანიის მიერ პროდუქციის მიწოდებაზე ამჟამად მიმდინარეობს.
16 ივლისი / ARKA

მთავრობა მზად არის განიხილოს გრძელვადიანი პროგრამების სუბსიდირება
პრემიერ-მინისტრი ჰოვიკ აბრაჰამიანი სამუშაო ვიზიტით კოტაიქის პროვინციაში იყო დღეს. როგორც „არმენპრესს" აცნობეს სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან, პრემიერ-მინისტრი პირველად ესტუმრა გოღთის თემში დსს „ეკოტომატოს" სათბურებს, სადაც ზრდიან ვარდებს და მოჰყავთ ბოსტნეული, გაეცნო კომპანიის მიერ გაწეულ სამუშაოს, სამრეწველო შესაძლებლობების გაფართოების, ინვესტიციების, ექსპორტის გაზრდის და განვითარების პროგრამებს, სამუშაო ადგილების შექმნას, საწარმოო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიებით ორგანიზებას. აღინიშნა, რომ ხდება სამუშაოების ავტომატური რეგულირება და ხელოვნური განათება კეთდება სათბურებში, წვეთოვანი სარწყავი სისტემა არის დამონტაჟებული. პრემიერ-მინისტრს აცნობეს, რომ ამჟამად დსს „ეკოტომატო" ახორციელებს 8 ჰექტარი სასათბურე კომპლექსის ფუნქციონირებას, რომელიც აშენდა თითქმის 7,7 მილიარდი დრამი ინვესტიციით, დაახლოებით 120 სამუშაო ადგილი შეიქმნა საშუალო ხელფასით 140 ათასი დრამი. გოღთის შემდეგ პრემიერ-მინისტრი ესტუმრა ქვის და ხე-ტყის გადასამუშავებელ საწარმოს დსს „მულტი სტოუნს" აბოვიანში, დაათვალიერა წარმოების პროცესი და სთხოვა მასპინძლებს სამომავლო გეგმებზე ესაუბრათ. კომპანიის წარმომადგენლებმა პრემიერ-მინისტრს აცნობეს, რომ კომპანიას საკმაოდ კარგი შედეგი აქვს ექსპორტის თვალსაზრისით (აშშ, რუსეთი, ევროპის ქვეყნები) და საექსპორტო ბაზრების გაფართოებასაც განიხილავს. ამის შემდეგ ჰოვიკ აბრაჰამიანი შეხვდა თემების ხელმძღვანელებს კოტაიქის პროვინციის აბოვიანის მუნიციპალიტეტში. სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა, ეკონომიკის მინისტრმა კარენ ჭშმარიტიანმა, კოტაიქის გუბერნატორმა კარაპეტ გულოიანმა ისაუბრეს სახელმწიფო დახმარების პროგრამების განხორციელების პროცესის შესახებ პროვინციაში. ამის შემდეგ პროვინციის თემების ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს თავიანთ თემებში მიმდინარე პროგრამები და საკითხები, რომლებიც მოითხოვს სასწრაფო გადაწყვეტას.
20 ივლისი / ARMENPRESS

სავარაუდოდ ატმის და ყურძნის დიდი მოსავალი იქნება ამ წელს სომხეთის ტავუშის პროვინციაში
ატამი, სავარაუდოდ, ბევრი იქნება ამ წელს სომხეთის ტავუშის პროვინციაში, სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა განაცხადა ოთხშაბათს პროვინციაში ყოფნის დროს. მინისტრმა დაათვალიერა პროვინციის ხეხილის ბაღები და, ასევე, მოინახულა ჩირის ქარხანა. პტღავანის თემში კარაპეტიანმა, რომელსაც თან ახლდა გუბერნატორი ჰოვიკ აბოვიანი, დაათვალიერა სომხური ხილის კომპანიის მიერ გაშენებული ნექტარინის ბაღები. მთლიანობაში, ატმის, ნექტარინის, ალუბლის და თხილის ბაღები იკავებს 24 ჰექტარს არჩის, პტღავანის და დიბიტავანის თემებში ტავუშის პროვინციაში. კარაპეტიანმა განიხილა ნოიებერიანის პროვინციის ხელისუფლებასთან ატმის და ყურძენის გაყიდვასთან დაკავშირებული საკითხები. მან დაარწმუნა ადგილობრივი ხელისუფლება, რომ არ იქნება გასაღების პრობლემა. მინისტრმა მოინახულა „ვივას მშრალი ხილის ქარხანა“ ბაგრატაშენის თემში და დაათვალიერა 1960 წელს დარგული ზეთისხილის ბაღები.
16 ივლისი / ARKA

სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიიღებს 2 მილიონი ევროს ტექნიკურ მხარდაჭერას
გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) განახორციელებს 2 მილიონი ევროს პროექტს სომხეთში სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური მხარდაჭერისთვის. პროექტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების (ENPARD) ევროპის სამეზობლო სამწლიანი პროგრამის ნაწილია, რომელიც დაიწყო 2015 წლის იანვარში. ENPARD-ის უფროსმა სომხეთში ვაჰან ამირხანიანმა განაცხადა მრგვალ მაგიდასთან დღეს, რომელიც FAO-ს სომხეთის ოფისის ორგანიზებით ჩატარდა, რომ ევროკავშირმა ავსტრიის განვითარების სააგენტოსთან ერთად გამოყო 20 მილიონი ევროს ოდენობის საბიუჯეტო მხარდაჭერა სომხეთის მთავრობისთვის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შენარჩუნებისთვის და მოგვიანებით 5 მილიონი ევროს მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, რათა სამინისტრომ ხელი შეუწყოს ფერმერთა ჯგუფების და გადამუშავებული პროდუქციის ჯაჭვების განვითარებას მთელ სომხეთში. პროგრამა ხორციელდება UNDP-ს, FAO-ს და UNIDO-ს მიერ. პროგრამა ხელს შეუწყობს უშუალოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარი მიზნის მიღწევას - ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის შემცირებას, რომელიც გამოწვეულია უმუშევრობის მაღალი დონით და საარსებო სახსრების და შემოსავალის ნაკლებობით. სიღარიბის დონე სომხეთის სოფლებში კვლავ მაღალია. თანხები გათვალისწინებული სამ ტრანშად: 6 მილიონი ევრო - 2015 წელს, 7 მილიონი ევრო - 2016 წელს და ამდენივე - 2017 წელს. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს. იგი მოიცავს შირაკის, ლორის, გაგარკუნის, არარატის, ერევანის და ვაიოც ძორის რეგიონებს. ამირხანიანმა ისაუბრა FAO-ს მიერ განხორციელებულ მეორე პროექტზე სომხეთში, რომლის ფარგლებში შეიქმნა სპეციალური ბაღი სომხური გარგარის გენეტიკური რესურსების კონსერვაციისთვის, სადაც მოხდება გარგარის ახალი სახეობების შექმნა მომავალში.
15 ივლისი, ARKA

სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი იზრდება
მცენარეული და ცხოველური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი სომხეთიდან რამდენჯერმე გაიზარდა ამ წელიწადში. სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სამველ გალსტიანმა ამის შესახებ ისაუბრა ჟურნალისტებთან 15 ივლისს. „მაგალითად, მთელი 2014 წლის განმავლობაში 382 ტონა ალუბალი იქნა ექსპორტირებული რესპუბლიკიდან და 2015 წელს ეს მაჩვენებელი იყო 1 159 ტონა. 2014 წელს ჩვენ არ გვქონდა გარგარის დიდი მოსავალი და ექსპორტი იყო მხოლოდ 1 700 ტონა და 2015 წელს ჩვენ უკვე გავიტანეთ ექსპორტზე 17 500 ტონა გარგარი", - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იუწყება Armenpress.
ერევანი, 15 ივლისი, Armenpress

სომხეთი ელოდება 365 000 ტონა ხორბლის მოსავალს
სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ელოდება 365 000 ტონა წლევანდელ ხორბლის მოსავალს, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სამველ გალსტიანმა. პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 45 000 ტონა ხორბლის და 22 000 ტონა ქერის მოსავალი აიღეს. მისი თქმით, ხორბლის ნათესები გაიზარდა 73 000 ჰექტარიდან 2010 წელს 111 000 ჰექტარამდე 2015 წელს. 2010 წელს სომხეთის ხორბლის მოსავლი იყო 173 000 ტონა, ხოლო მარცვლეულის თვითუზრუნველყოფის დონე - 32%. 2014 წელს თვითუზრუნველყოფის დონე გაიზარდა 49%-მდე, ხოლო მოსავალი - 338 000 ტონამდე. მისივე თქმით, თესლის წარმოების განვითარების პროგრამის ფარგლებში სომხეთში იგეგმება მარცვლეულის თვითუზრუნველყოფის ზრდა 70-72%-მდე 2020 წლისთვის.
ერევანი, 15 ივლისი / ARKA /

ევროკავშირმა 6 მილიონი ევრო გამოყო სომხეთში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხელშესაწყობად
ევროკავშირმა 6 მილიონი ევრო გამოყო სომხეთის რესპუბლიკის მთავრობისთვის. როგორც ARMENPRESS წერს, ეს თანხა გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მხარდასაჭერად სომხეთში. 2014 წლის დეკემბერში ევროკავშირმა დაადასტურა 25 მილიონი ევროს საერთო ღირებულების ფინანსური მხარდაჭერა სომხეთის მთავრობისთვის ENPARD-ის (ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის) ფარგლებში

სომხეთში. ეს პროგრამა განხორციელდება სამი წლის განმავლობაში, უზრუნველყოფს 20 მილიონი ევროს საბიუჯეტო მხარდაჭერას სომხეთის მთავრობისთვის სოფლის მეურნეობის განვითარების შესანარჩუნებლად. შემდგომი 5 მილიონი ევრო გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ფერმერული ჯგუფების და გადამუშავებული პროდუქციის ჯაჭვების განვითარების მხარდაჭერისათვის მთელ სომხეთში. საბიუჯეტო დახმარება გადახდილ იქნება სამი წლის განმავლობაში და 2015 წლის 6 მილიონი ევრო ახლახანს გადაეცა სომხეთის მთავრობას. გადახდის დადასტურებისას სომხეთში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა ტრაიან ჰრისტიამ განაცხადა: „მე მინდა მივულოცო სომხეთის მთავრობას, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ მათ შეასრულეს ძირითადი პირობა, დაკავშირებული სოფლის მეურნეობის სექტორთან გასული წლის მანძილზე. მე მესმის, რომ ამჟამად ხორციელდება უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორიცაა მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შუალედური მიმოხილვის შედგენა, რომლის საფუძველზე მეორე ეტაპზე ახალი სტრატეგია უნდა შემუშავდეს 2015-2025 წლებისთვის. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი იყოს ინკლუზიური, მოიცავდეს მკაფიო მიზნების, შედეგების და ინდიკატორების იდენტიფიკაციას და დასრულდეს დროულად". ეს მხარდაჭერა, ევროკავშირის დახმარების პრიორიტეტებთან ერთად, ხელს შეუწყობს უშუალოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის ძირითადი მიზნების მიღწევას - ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის შემცირებას. უმუშევრობის მაღალი დონის და საარსებო სახსრების და შემოსავალის ნაკლებობის გათვალისწინებით სიღარიბის დონე სომხეთში კვლავ მაღალია, განსაკუთრებით სოფლად. სოფლის მეურნეობა და ნატურალური მეურნეობა წარმოადგენს დიდ შესაძლებლობას სასურსათო უსაფრთხოების და არაფორმალური დასაქმების თვალსაზრისით. ამდენად, არის დიდი საჭიროება მოხდეს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გაუმჯობესების, ფერმერთა ასოციაციების და კოოპერატივების გაძლიერების და მათი საქმიანობის, იაფი საკვების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და საერთო სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარების მეშვეობით. ეს სამუშაოები ENPARD-სომხეთის მხარდაჭერით განხორციელდება. პროგრამის ფარგლებში დამატებით 5 მილიონი ევრო UNIDO-ს, UNDP-ს და FAO-ს ტექნიკური მხარდაჭერით გადაეცემა სომხეთის მთავრობას, რომელიც ითანამშრომლებს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. UNIDO და UNDP ერთობლივ მუშაობას გააძლიერებენ, რათა შექმნან მწარმოებლების ჯგუფები და ეფექტურად იმუშაონ გადამუშავებული პროდუქციის ჯაჭვის განვითარებაზე. FAO უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური განვითარებისთვის და პოლიტიკის ჰარმონიზაციისთვის, ასევე ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩასატარებლად. პროგრამის ბენეფიციარები არიან სასოფლო თემები, ფერმერები, მეწარმეთა ჯგუფების წევრები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების ჯაჭვები და მათი ოჯახები.

ერევანი, 9 ივლისი, ARMENPRESS

სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი იზრდება 2015 წელს

ორშაბათს გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი გაიზარდა 55 პროცენტზე მეტით ფიზიკურ გამოხატულებაში ამ წლის პირველ ნახევარში, გარგარის და სხვა ხილის მოსავალის მკვეთრი ზრდის ფონზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები აჩვენებს, რომ სომხეთიდან ექსპორტზე 40 000 ტონაზე მეტი ხილი და ბოსტნეული გაიტანეს, მაშინ როდესაც 25 700 ტონა ექსპორტი იყო ამავე პერიოდში გასულ წელს. გარგარი ქმნის ამ მაჩვენებლის ერთ მესამედზე მეტს. ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ პირველ ნახევარში გაყიდვები საზღვარგარეთ ათჯერ გაიზარდა. სომხური გარგარის მოსავალი თითქმის 90 000 ტონიდან 2013 წელს მხოლოდ 8 000 ტონა გახდა 2014 წელს გაზაფხულზე ქარბუქის გამო. სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა იწინასწარმეტყველა გასულ თვეში, რომ წლევანდელი მოსავალი უკეთესი იქნებოდა, ვიდრე 2013 წელს ძალიან ხელსაყრელი ამინდის პირობებში. კარაპეტიანმა აღნიშნა, რომ სომხეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (EEU) გზა გაეხსნა გარგარის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის „ფართომასშტაბიან ექსპორტს" რუსეთში, მთავარ ბაზარზე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ ფაქტს ასევე შეუწყო ხელი რუსეთის მიერ კვების პროდუქტების იმპორტის აკრძალვამ ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროპიდან, რომელიც მოსკოვმა შემოიღო გასული წლის აგვისტოში დასავლეთის

ეკონომიკური სანქციების საპასუხოდ. მეორე მხრივ, სომხური სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ამონაგები გასულ წელს რუსული რუბლის მკვეთრი გაუფასურების გამო ძალიან შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ დაუდგენია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ფულადი ღირებულება, ექსპორტის ფიზიკური მოცულობის სწრაფი ზრდა სომხეთის საერთო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მატებას ხელს შეუწყობს. სოფლის მეურნეობა ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით ერთ მეოთხედს და ეს დადებითად აისახება ქვეყნის ფართო მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე. სომხეთის მთავრობა ამტკიცებს ბოლო კვირების განმავლობაში, რომ შიდა ეკონომიკა გააგრძელებს ზრდას წელს, მიუხედავად რეცესიის შედეგებისა რუსეთში. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, თავის მხრივ, ივარაუდა ნულოვანი ზრდა ქვეყანაში 2015 წელს.
6 ივლისი, Radio Free Europe/Radio Liberty

ტენდერები და განცხადებები

პარტნიორის ძებნა აგრო-ბიზნესში
ბ-ნი გიორგაძე ფლობს მიწის ფართობებს გურიასა და სამეგრელოში და ეძებს ბიზნეს-პარტნიორს თხილის მოყვანასა და წარმოებაში. აქვს ბიზნესის დასაწყებად ხელსაყრელი კავშირები ადგილობრივ საზოგადოებასთან. ის მზად არის განიხილოს ერთობლივ ბიზნესთან დაკავშირებული საკითხები დაინტერესებულ პირებთან. შემდგომი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით გაგა გიორგაძეს შემდეგ ტელეფონზე და ელ-ფოსტაზე: (+995) 574 454 565, *E-mail:g.giorgadze@gmail.com*

ენერგეტიკა სოფლის მეურნეობაში: გლობალური ინოვაციების მეორე კონკურსი!
ენერგეტიკა სოფლის მეურნეობაში: ენერგია დიდი გამოწვევაა განვითარებისთვის (PAEGC). გლობალური ინოვაციების მეორე კონკურსი განკუთვნილია სუფთა ენერგეტიკის დარგში ინოვაციური ტექნოლოგიების და ბიზნეს მოდელებისთვის სოფლის მეურნეობაში. ყველა სახის ინფორმაცია და ვადები იხ. ამ ბმულზე.
https://poweringag.org/call-innovations

გამოცემები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2015 წლის ივნისის #34 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე
eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე
eeas.europa.eu/delegations/georgia/.

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

nfa.gov.ge/files/images/

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/